შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2023 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N092/22 (საქმე Nსსდ-05-23).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი სულეიმან ისმაილოვი /სიითი №3226/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.10.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №092/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ალი ბადიროვის /სიითი №8078/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ალი ბადიროვისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა სულეიმან ისმაილოვმა და მოითხოვა ადვოკატ ალი ბადიროვისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 07 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორმა მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ალი ბადიროვმა, სოციალური ქსელი „facebook"-ის პირად გვერდზე, გამოაქვეყნა „პოსტი", რომელიც მის მიმართ იყო შეურაცხმყოფელი და არაკოლეგიალური. ადვოკატის განმარტებით, ადვოკატი ალი ბადიროვი მას უწოდებდა „თაღლითს". პოსტის შინაარსი შემდეგია: „კლიენტებისთვის გარანტიის მიმცემ სულიკოს,

შეუჩერდეს ადვოკატის სტატუსი“, ამ სახელწოდებით ვიწყებ კამპანიას და ჩემს მოთხოვნას იზიარებს არაერთი ადვოკატი, რომელსაც ასევე სულიკომ გარანტიის მიცემით წაართვა კლიენტი, ჩემი კლიენტების და თუნდაც სხვა ადამიანების ბედით თამაშს მე არ ვაპატიებ არცერთ თაღლითს, მათ შორის ამ სულიკოს (სულეიმან ისმაილოვს). ვთხოვ ყველა იმ ადამიანს ვისაც კი შეხებია სულიკოს თაღლითობა, მომმართოს მე. ყველანაირად ვეცდები ვუზრუნველყო სულიკოს ადვოკატის სტატუსის შეჩერება, რათა მარნეულში მომუშავე ადვოკატებს და კლიენტებს სისხლი ვეღარ გაუშროს მან.“ საჩივრის ავტორის განმარტებით, „პოსტის“ კომენტარებში ალი ბადიროვის მეგობრები და ახლობლები, მისი მისამართით, გამოირჩეოდნენ არაკორექტული და შეურაცხმყოფელი შინააარსის მქონე ტექსტებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ალი ბადიროვის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულმა „პოსტმა“ და მიზანმიმართულმა არაეთიკურმა ქმედებამ, გამოიწვია მისი დისკრედიტაცია, შეუმცირა კლიენტთა რაოდენობა და რამდენიმე მსხვილ კომპანიასთან, სადაც მას იურისტის პოზიციაზე უნდა დაეწყო მუშაობა, ჩაუშალა მოლაპარაკებები.

1.4 საჩივრის ავტორმა, განხილვის კოლეგიის მიერ, მხარეთათვის შეთავაზებულ მორიგებაზე, განმარტა, რომ მისი მიზანი არ არის, კოლეგის დისციპლინირება, მას სურს რომ მომავალში საადვოკატო საქმიანობა, კოლეგებთან კონფლიქტის გარეშე გააგრძელოს და მის მიერ კომისიაში საჩივრის შემოტანა, ალი ბადიროვის მხრიდან მომავალში ამგვარი ქცევის აღკვეთას ისახავდა მიზნად. ყოველივე ამის გათვალისწინებთ, მოპასუხე ადვოკატის მიერ საკუთარი ქმედების გაანალიზებისა და მომავალში მსგავი ქმედებისგან თავის შეკავების შემთხვევაში, საჩივრის ავტორი თანახმაა მორიგებაზე.

2. მოპასუხე ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ალი ბადიროვმა 2022 წლის 10 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და ადვოკატი სულეიმან ისმაილოვი ასეთი ქმედებით ცდილობს გაექცეს პასუხისმგებლობას. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 07 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა ალი ბადიროვმა მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

2.2 მოპასუხე ადვოკატმა დაადასტურა წარმოდგენილი facebook „პოსტის“ კუთვნილება. მისი განმარტებით, ადვოკატი სულეიმან ისმაილოვი ყოველდღიურად, არა თუ არღვევს ეთიკის კოდექსის ნორმებს, სხვა ადვოკატთა კლიენტთათვის გარანტიების მიცემით, არამედ ამ საქციელით, თაღლითობს კიდეც, რის გამოც ის გამართლებულად მიიჩნევს, სულეიმან ისმაილოვი მოიხსენიოს “თაღლითად“.

2.3 მოპასუხე ადვოკატის განმარტებით მის მიერ პოსტის გამოქვეყნება გამოიწვია კოლეგის, ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის, ქმედებებმა და მისი მიზანი იყო თავდაცვა და საზოგადოების ინფორმირება ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის პიროვნების შესახებ. კერძოდ, ალი ბადიროვის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ოჯახის წევრებისგან, ადვოკატმა სულეიმან ისმაილოვმა, დიდი ოდენობით თანხა აიღო და კლიენტს მისცა გარანტია, რომ წინასასამართლო სხდომიდანვე გაათავისუფლებდა. ალი ბადიროვის თქმით მსგავსი „თაღლითური“ შეპირებებით სულეიმან ისმაილოვი ცდილობს მის საქმიდან ჩამოშორებას და კლიენტის წართმევას. ასევე, ადვოკატი

სულეიმან ისმაილოვი მის მიმართ იქცევა არაკოლეგიალურად - 2020 წლის 3 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე სულეიმან ისმაილოვი სიტყვებით: „წადი, შენი ადვოკატობა არ უნდათ ოჯახის წევრებს“ ცდილობდა მის დისკრედიტაციას სხდომაზე დამსწრე საზოგადოების თანდასწრებით. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 13 ოქტომბრის სასამართლო პროცესის არსებითი განხილვის სხდომის დაწყებამდე, დერეფანში, ადვოკატმა სულეიმან ისმაილოვმა და მის მიერ მოტყუებული ბრალდებულის პაპამ, სცადეს ალი ბადიროვისათვის ხელი შეეშალათ კლიენტის დაცვის განხორციელებაში, ისინი ადვოკატ ალი ბადიროვს აიძულებდნენ დაეტოვებინა სასამართლო შენობა და აღარ დაეცვა კლიენტის - ელნურ ბაირამოვის ინტერესები. თავად ბრალდებულმა, მისთვის შეკითხვის დასმის შემდეგ, თუ ვის უნდა გაეგრძელებინა მისი წარმომადგენლობა, განმარტა, რომ მას სურდა ორივე ადვოკატს თანადროულად განეხორციელებინათ ნაკისრი ვალდებულებები და დაეცვათ მისი ინტერესები.

2.4 მოპასუხე ადვოკატის პოზიციით, სულეიმან ისმაილოვი ცდილობს მის, როგორც ადვოკატის, დისკრედიტაციას და მასზე სხვადასხვა მძიმე ფორმით ზეწოლის განხორციელებას. ადვოკატის განმარტებით, facebook „პოსტი“ სწორედ, სულეიმან ისმაილოვის ამგვარი ქმედებების შედეგია და ემსახურება საკუთარი თავის, სხვა ადვოკატებისა და მარნეულის მოსახლეობის ინტერესების დაცვას. „პოსტი“ აღწერს სიმართლეს და შესაბამისად ჯდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებაში, რის გამოც ადვოკატი მიიჩნევს, რომ სულეიმან ისმაილოვის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.5 მოპასუხე ადვოკატმა, განხილვის კოლეგიის მიერ, მხარეთათვის შეთავაზებულ მორიგებაზე, განმარტა, რომ მისი მიზანია დაიცვას საკუთარი, სხვა ადვოკატებისა და მოქალაქეების ინტერესები, ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის ქმედებებისგან. ის აფასებს განხილვის კოლეგიის მცდელობას, ადვოკატებს შორის უზრუნველყოს კოლეგიალური ურთიერთობის ჩამოყალიბება, თუმცა მიაჩნია, რომ შერიგება არ იქნება გულწრფელი და ამასთან, მის მიერ მოყვანილი რეალური ფაქტები, აძლევენ მას საშუალებას, ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის მიმართ, საკუთარი პოზიცია აღნიშნული ფორმით დააფიქსიროს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 08 დეკემბერის გადაწყვეტილებით ეთიკის კომიისიის მეოთხე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ალი ბადიროვის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დადგენილია, რომ ადვოკატმა ალი ბადიროვმა, საკუთარ „facebook“ გვერდზე, გამოაქვეყნა საჯარო „პოსტი“ შინაარსით: „კლიენტებისთვის გარანტიის მიმცემ სულიკოს, შეუჩერდეს ადვოკატის სტატუსი“, ამ სახელწოდებით ვიწყებ კამპანიას და ჩემს მოთხოვნას იზიარებს არაერთი ადვოკატი, რომელსაც ასევე სულიკომ გარანტიის მიცემით წაართვა კლიენტი, ჩემი კლიენტების და თუნდაც სხვა ადამიანების ბედით თამაშს მე არ ვაპატიებ არცერთ თაღლითს, მათ შორის ამ სულიკოს (სულეიმან ისმაილოვს). ვთხოვ ყველა იმ ადამიანს ვისაც კი შეხებია სულიკოს თაღლითობა, მომმართოს მე. ყველანაირად ვეცდები ვუზრუნველყო სულიკოს ადვოკატის სტატუსის შეჩერება, რათა მარნეულში მომუშავე ადვოკატებს და კლიენტებს სისხლი ვეღარ გაუშროს მან.“, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს

კოლეგიალობის პრინციპი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე - 7 მუხლი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1 ალი ბადიროვმა საკუთარ „facebook" გვერდზე, გამოაქვეყნა საჯარო „პოსტი", შემდეგი შინაარსით: „კლიენტებისთვის გარანტიის მიმცემ სულიკოს, შეუჩერდეს ადვოკატის სტატუსი", ამ სახელწოდებით ვიწყებ კამპანიას და ჩემს მოთხოვნას იზიარებს არაერთი ადვოკატი, რომელსაც ასევე სულიკომ გარანტიის მიცემით წაართვა კლიენტი, ჩემი კლიენტების და თუნდაც სხვა ადამიანების ბედით თამაშს მე არ ვაპატიებ არცერთ თაღლითს, მათ შორის ამ სულიკოს (სულეიმან ისმაილოვს). ვთხოვ ყველა იმ ადამიანს ვისაც კი შეხებია სულიკოს თაღლითობა, მომმართოს მე. ყველანაირად ვეცდები ვუზრუნველყო სულიკოს ადვოკატის სტატუსის შეჩერება, რათა მარნეულში მომუშავე ადვოკატებს და კლიენტებს სისხლი ვეღარ გაუშროს მან."

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 07 თებერვლის სხდომის ოქმი;
3. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი, ალი ბადიროვის „facebook" გვერდზე, გამოქვეყნებული საჯარო „პოსტის"-ის „სქრინი."

4.2 ალი ბადიროვის მიერ „facebook" გვერდზე, გამოქვეყნებული „პოსტი" დღეის მდგომარეობითაც ხელმისაწვდომია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა წერილობითი პოზიცია;
2. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 07 თებერვლის სხდომის ოქმი.

4.3 განხილვის კოლეგიის 2023 წლის 07 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა ალი ბადიროვმა, შემდეგი სიტყვებით მოიხსენია სულეიმან ისმაილოვი - „სასოწარკვეთილი ვარ. ესეიგი თქვენ თაღლითის წახალისებისთვის რას არ აკეთებთ".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 07 თებერვლის სხდომის ოქმის ჩანაწერი 01:03:10-საათი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ალი ბადიროვის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგია გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მოისმინა მხარეთა პოზიცია და მიიჩნია, რომ ადვოკატმა ალი ბადიროვმა, საკუთარ „facebook“ გვერდზე, კოლეგის მიმართ შეურაცხმყოფელი „პოსტიის“ გამოქვეყნებით, დაარღვია პროფესიული ქცევის შემდეგი ნორმები:

> „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 მუხლი).
>
> „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.1 მუხლი).

6.2 „ადვოკატი, პროფესიის თვითრეგულირებიდან და მისი კორპორაციული არსიდან გამომდინარე ვალდებულია, საკუთარი ქცევით ხელი შეუწყოს პროფესიის პრესტიჟს, აღნიშნულის მისაღწევად უპირატესად გასათვალისწინებელია ადვოკატთა შორის ურთიერთპატივისცემა. ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულა).

6.3 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ნებისმიერი ტიპის საადვოკატო საქმიანობისას ადვოკატი ვალდებულია განსაკუთრებული პატივი სცეს კოლეგა ადვოკატებს და არ მიაყენოს მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაშიც იგულისხმება ნებისმიერი გამონათქვამი, რაც კოლეგისთვის აღიქმება უპატივცემულოდ. უპატივცემულობაში არ ითვლება ადვოკატის მიერ ისეთი ქმედება, რომელიც ემსახურება კლიენტის ინტერესის დაცვას და ჯდება საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული, ტრადიციული პატივისცემის წესებში.

6.4 საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, გარანტირებულია აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად - სხვათა ღირსებისა და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა, ადვოკატის პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, კოლეგიალობის დაცვის პრინციპი მათ, კოლეგის მიმართ, განსაკუთრებულ ვალდებულებებს აკისრებს, რაც სხვა მოქალაქეებისაგან განსხვავებით, ადვოკატს უმცირებს გამოხატვის თავისუფლებით დაცული ძირითადი უფლების გავრცელების სფეროს.

6.5 კოლეგიალობის პრინციპის დაცვის პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, ადვოკატს განსაკუთრებული ვალდებულებები გააჩნია კოლეგების მიმართ. კერძოდ, მაშინ როდესაც, კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს, ერთის მხრივ, ნეგატიური შეზღუდვის თვალსაზრისით ავალდებულებს, არ შელახოს კოლეგის ღირსება თუ კანონიერი ინტერესები, მეორეს მხრივ,

პროფესიის კორპორაციული ბუნების გათვალისწინებით, პოზიტიური ვალდებულების ძალით, აკისრებს კოლეგისადმი, ღირსეული, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების დამყარებისა და მისი შენარჩუნების ვალდებულებებს. აღნიშნულ სულისკვეთებას ატარებს ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-12 მუხლი, რომლითაც, „ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შენარჩუნებაზე“.

6.6 თუმცა, მიუხედავად კოლეგიალობის პრინციპით მისაღწევი მიზნის - ადვოკატებს შორის კოლეგიალური ურთიერთობის ჩამოყალიბებით, საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფისა, აღნიშნული პრინციპი, არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, თითქოს ის კონფლიქტში მყოფ ადვოკატებს, ერთმანეთის მიმართ, დადებითი დამოკიდებულების გამოხატვის ვალდებულებას აკისრებს და მათ ართმევს პროფესიული კრიტიკის უფლებას. ამის პარალელურად, პრინციპის დაცვის აქტუალურობა სწორედ ადვოკატებს შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში დგება, და თუ ამ დროს შესუსტებულია მისი დაცვის პოზიტიური ვალდებულება, გაძლიერებულია კოლეგიალობის პრინციპის ნეგატიური მოწესრიგება, რომლითაც პრინციპი კიდევ უფრო გამკაცრებულად იცავს ადვოკატებს შორის კოლეგიალურ ურთიერთობას, რაც პირდაპირ გულისხმობს მათ ვალდებულებას, კონფლიქტური ურთიერთობისას არ მიაყენონ ერთმანეთს შეურაცხმყოფა და დარჩნენ ნეიტრალურები ერთმანეთის მიმართ.

6.7 ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ ალი ბადიროვის მიერ გაკეთებული განცხადება თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით, პროფესიული კრიტიკის უფლების გათვალისწინებით შეფასდეს, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

6.8 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა, ადვოკატ ალი ბადიროვის სოციალურ ქსელ facebook-ის პირად გვერდიდზე განთავსებული „პოსტი“. ალი ბადიროვმა თავის მხრივ, დაადასტურა სადავო „პოსტის“ მის მიერ, facebook-ზე გამოქვეყნების ფაქტი. განხილვის კოლეგია გაეცნო განცხადებას და მისი შეფასებისას ყურადღება გაამახვილა თითოეულ პრობლემურ ფრაზეოლოგიათა გამოხატვის ფორმასა და მიზანზე.

6.9 ადვოკატის მიერ გაკეთებულია შემდეგი განცხადება - „ჩემი კლიენტების და თუნდაც სხვა ადამიანების ბედით თამაშს მე არ ვაპატიებ არცერთ თაღლითს, მათ შორის ამ სულიკოს (სულეიმან ისმაილოვს)“... ვთხოვ ყველა იმ ადამიანს ვისაც კი შეხებია სულიკოს თაღლითობა, მომმართოს მე“. თაღლითობა არის საკუთრების უფლების წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური დანაშაული, რომელიც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით. თავად სიტყვა „თაღლითი“ საზოგადოებაში არ ატარებს პოზიტიურ კონტექსტს და მიემართება პიროვნების არაკეთილსინდისიერი და არამართლზომიერი მახასიათებლების ხაზგასმისკენ. გამომდინარე იქიდან, რომ „თაღლითი“ იურიდიულ ტერმინოლოგიაში, დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ სიტყვას წარმოადგენს, ის არ არის დამამცირებელი ტერმინი, მას შემდეგ, რაც კანონის წესის შესაბამისად, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით, დადგინდება პირის თაღლითური ქმედება; თუმცა, უდანაშაულობის პრეზუმციის მოქმედების ფარგლებში, ადვოკატ ალი ბადიროვის მხრიდან, სულეიმან ისმაილოვისთვის, თაღლითური ქმედების ჩადენის ბრალდება და ამ საფუძვლით მისთვის „თაღლითის“ წოდება, პირდაპირ მიემართება სუბიექტის

შეურაცხყოფისა და მისი პიროვნებისთვის იმგვარი პიროვნული მახასიათებლების დისკრედიტირებისკენ, რომელიც საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება.

6.2 რაც შეეხება განცხადებას - „კლიენტებისთის გარანტიის მიმცემ სულიკოს შეუჩერდეს ადვოკატის სტატუსი“, იმ ფონზე, როდესაც შესაბამისი წესით არ არის დადგენილი პირის მიერ კლიენტებისთვის გარანტიის მიცემის ფაქტი, მაშინ როდესაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის თანახმად კლიენტისთვის გარანტიის მიცემა პროფესიული ეთიკის დარღვევად ითვლება, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია და იგულისხმება, რომ ადვოკატი ამის შესახებ ინფორმირებულია, თავისი შინაარსით მიემართება ადრესატის პიროვნების დისკრედიტაციისკენ. კოლეგია საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს, რომ აღნიშნული განცხადება, ადვოკატის სტატუსის არმქონე პირის მიერ შესაძლებელია მოექცეს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რადგან მასზე არ ვრცელდება, ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები და ამის დადგენა სასამართლოს უფლებამოსილებაა, თუმცა ადვოკატისთვის, რომლითვისაც ცნობილია პროფესიული ეთიკის მოთხოვნები და პირის პროფესიული კეთილსინდისიერების პრეზუმცია, მანამ სანამ სათანადო წესით საპირისპირო არ დადასტურდება, აზრისა და გამოხატვის უფლება, დისციპლინური წარმოების მიზნებისთვის ვერ იქნება პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

6.3 თავის მხრივ, ადვოკატი მიუთითებს „პოსტის“ გამოქვეყნების მოტივაციაზე. კერძოდ, მხარეების და საპროცესო ეტაპზე გამოკითხულ მოწმეთა განმარტებებით დგინდება, რომ ადვოკატი ალი ბადიროვი და ადვოკატი სულეიმან ისმაილოვი ერთად იცავდნენ ბრალდებულის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. სასამართლო სხდომის დაწყებამდე ადვოკატებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რასაც მოჰყვა სიტყვიერი დაპირისპირება. მოპასუხე ადვოკატის პოზიციიდან, ირკვევა, რომ მის მიერ პოსტის გამოქვეყნება გამოიწვია კოლეგის, ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის, აღნიშნულმა ქმედებამ, თუმცა, მიუხედავად ადვოკატის ამგვარი მოტივაციისა, მისი განცხადება თავისი შინაარსითა და ფორმით სცდება კოლეგიალობის პრინციპით უზრუნველყოფილი პროფესიული კრიტიკის უფლების ფარგლებს. მეტიც, ალი ბადიროვს, კოლეგიალობის პრინციპი, ავალდებულებდა დაპირისპირებაში მყოფი ადვოკატის მიმართ დარჩენილიყო ნეიტრალური და მაქსიმალურად შეეკავებინა თავი კოლეგის არაკორექტული შეფასებისგან.

6.4 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ალი ბადიროვის მიერ, ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის „თაღლითად“ მოხსენიება და „კლიენტებისთვის გარანტიების მიცემის“ ბრალდება, წარმოადგენს კოლეგის მიმართ საკუთარი სუბიექტური აზრის არაკორექტულად დაფიქსირებას. ალი ბადიროვს, როგორც ადვოკატს, საზოგადოებასა და მართლმსაჯულების სისტემაში ეკისრება მაღალი მნიშვნელობის როლი, რაც მას ავალდებულებს იყოს მომთმენი, წინდახედული, მართავდეს საკუთარ თავს და მიუხედავად კოლეგისადმი არსებული დაძაბული თუ არასასიამოვნო ურთიერთობისა და მისი აღქმით მის მიმართ მომდინარე უპატივცემულო საქციელისა, შეინაჩუნოს კორექტულობა და იმოქმედოს პროფესიული ეთიკის ფარგლებში. ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი, კანონის შესაბამისად დადასტურებული რაიმე ისეთი მტკიცებულება, რომელიც, მიუთითებდა ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის თაღლითურ ქმედებასა და დაადგენდა კლიენტებისთის გარანტიის მიცემის ფაქტს, ალი

ბადიროვის განცხადება, თავისი ფორმითა და შინაარსით, არღვევს კოლეგის მიმართ არსებულ პროფესიული ეთიკის ნორმებს.

6.5 შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ალი ბადიროვის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მე-7 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი.

6.6 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.7 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.8 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.9 მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი დისციპლინურ გადაცდომასთან მიმართებით იყოს პროპორციული. აუცილებელია სახდელი იყოს ეფექტიანი და ატარებდეს პრევენციულ ხასიათს. ადვოკატმა სრულად უნდა გააანალიზოს და გააცნობიეროს ის ზიანი და უარყოფითი შედეგები, რაც მისი მხრიდან პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცული სტანდარტების დარღვევამ გამოიწვია. შესაბამისად, სახდელი ატარებს პრევენციულ ხასიათს, რომ სახდელდადებულმა პირმა აღარ ჩაიდინოს ისეთი დისციპლინური გადაცდომა, რაც უხეშად დაარღვევს პროფესიული ეთიკის კოდექსს და განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას.

6.10 ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი გარემოებაა, როგორც უშუალოდ დაინტერესებული პირისთვის მიყენებული ზიანის ხარისხის განსაზღვრა, ასევე ადვოკატის ქმედებით, თავად პროფესიისთვის მიყენებული ზიანის იდენტიფიცირება და მათი პრევენცია. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ვერ იქნება ქმედითი, რადგან აშკარაა, რომ ადვოკატი, ალი ბადიროვი არ

ითავისებს და ნანობს საკუთარ საქციელს, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს პროფესიის სტატუსს. კერძოდ განხილვის კოლეგია ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საერთო პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედვად კომისიის არაერთი მცდელობისა ადვოკატებს შორის შემდგარიყო შეთანხმება, ადვოკატმა ალი ბადიროვმა უარი განაცხადა მხარეებს შორის დავის შეთანხმებით დასრულებაზე. ამასთან, ალი ბადიროვის მიერ „facebook“ გვერდზე, გამოქვეყნებული „პოსტი“ დღეის მდგომარეობითაც ხელმისაწვდომია (იხილეთ გადაწყვეტილების პარაგრაფი 4.2) და განხილვის კოლეგიის 2023 წლის 07 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა ალი ბადიროვმა, კოლეგა კვლავ „თაღლითად“ მოიხსენია, მაშინ როდესაც ადვოკატისთვის, საპროცესო ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცნობილი იყო კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულებულებისა და მის მიერ გაკეთებული განცხადების ურთიერთშეუსაბამობის თაობაზე. შედეგად, დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნებიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო ბარათი, რომელიც ადვოკატისთის, იმგვარი გარემოებების ახსნასა და მითითებას ისახავს მიზნად, რომელიც მისთვის ხშირ შემთხვევაში გაუგებარი ან/და ბუნდოვანია, ვერ იქნება იმ მსუსხავი ეფექტის მატარებელი, რომელიც გათვალისწინებულია არაეთიკური ქმედებების პრევენციის მიზნით. აშკარაა, რომ ადვოკატი ერკვევა თავის მიერ ჩადენილ ეთიკურ გადაცდომაში, თუმცა დისციპლინური სახდელის დაკისრების რისკი, უღირს კოლეგის შეურაცხყოფად.

6.11 ადვოკატის მიერ „პოსტის“ გამოქვეყნების მოტივაცია, რომლითაც ის განმარტავს, რომ მის მიერ პოსტის გამოქვეყნება სწორედ კოლეგის, ადვოკატ სულეიმან ისმაილოვის, ქმედებებმა გამოიწვია და მას აღნიშნულთან დაკავშირებით, ადეკვატური რეაქცია ჰქონდა, ვერ გახდება დისციპლინური პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, რადგან ალი ბადიროვისთვის ცნობილია საკუთარი უფლებების კანონიერი გზით დაცვის თაობაზე და მისი აღქმით, უკანონო ქმედებას, არ შეიძლება ადვოკატი არაეთიკური ქცევით დაუპირისპირდეს. ამასთან, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს რა ადვოკატ ალი ბადიროვის დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული, მიიჩნევს, რომ ადვოკატისთის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით.

6.12 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ალი ბადიროვს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.13 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N092/22 ადვოკატ ალი ბადიროვის მიმართ /სიითი№8078/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/